Rustavis korpusi
Digitally signed by Rustavis korpusi
Date: 2021.01.14 14:24:10 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

ქ. რუსთავი 14 იანვარი 2020 წ.

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი" (შემდგომში შემსყიდველი)** წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"(შემდგომში მიმწოდებელი)** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

(ერთი ერთეული ფიქსირებული სატელეფონო ნომრის (251073) სატელეფონო მომსახურება (შემდგომსი მოსახურება) - (CPV64211000) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **70,00 (სამოცდაათი ლარი და 00 თერი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის - საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. მომსახურებისპირობები, ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადა: **2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**

4.2. მომსახურების გაწევის ადგილი - **ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი"** მის: ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. №1ა;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

ბ) ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება,

ბ) დროულად და საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას მომსახურებისგაწევისას გამოვლენილიხარვეზები,

გ) დაზიანების შემთხვევაში ადგილზე დახმარების აღმოჩენა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შეტყობინებიდან 2 (ორი) საათის განმავლობაში.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს: <u>აარიპ ,,რუსთავის კორპუსის“ ადმინისტრატორი თამარ ქვათაძე</u>;

6.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია;

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდებული გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება,

ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

გ) ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებსოქმით.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზისა და ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება;

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებული დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

9.3. დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.6. მხარე ვალდებულია 9.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;
9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1.წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან
11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

შემსყიდველი

ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“
მის: ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ №1ა
ს/კ 416289536
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

.....

დირექტორი
დავით ხაჩიძე

მიმწოდებელი

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“
მის: რუსთავი, მეგობრობის გამზირი №2
ს/კ: 204876081
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE41TB0200000360867289

Central Georgian Communications Co.LLC

Digitally signed by Central Georgian Communications Co.LLC
Date: 2021.01.14 14:18:45 +04'00'

.....

გენერალური დირექტორი
ნანა შარაშენიძე

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" ს/კ 204876081

მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	ერთ. ფასი დღგ–ს ჩათვლით
სააბონენტო (ყოველთვიური) გადასახადი	ც.	4.00
ადგილობრივი სატელეფონო საუბრები ქსელის შიდა ნომრებზე	წთ.	0.00
ადგილობრივი სატელეფონო საუბრები რუსთავის სხვა ფიქსირებულ ქსელში	წთ.	0.04

გენერალური დირექტორი

Central Georgian Communications Co.LLC

Digitally signed by Central Georgian Communications Co.LLC
Date: 2021.01.13 15:53:01 +04'00'

ნ. შარაშენიძე